1486

პროლეტარებო, ერთდით ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და საკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
18 თებერვალი
1941 წ.
№ 40 (6045)
ფასი 10 კაპ.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენცია

პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში

ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენება

I

ნაკლოვანები და ნაკლოვანებანი მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში

ამხანაგებო! კონფერენციაზე განსახილველად დასმულია საკითხი პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში.

ამ საკითხზე ჩვენს მოხსენებაში მე ვეცდებიან უმთავრესად მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის ნაკლოვანებებზე, მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში პარტიულ ორგანიზაციათა და სახლო კომისარიატების მუშაობის ნაკლოვანებებზე, ამ ნაკლოვანებათა მიზეზებსა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებებზე.

ეს, ამხანაგებო, სრულიადაც არა ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ წარმატებანი არა გვქონდეს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობაში. პირიქით, პარტიის XVIII ყრილობის შემდეგ განვლილი ორი წლის მანძილზე მრეწველობისა და ტრანსპორტის განუხრელი ზრდა გრძელდებოდა.

თუ 1938 წელს მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 106.834 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1939 წელს მან 123.915 მილიონ მანეთს მიაღწია, ხოლო 1940 წელს 137.500 მილიონ მანეთს შეადგენს.

მაშასადამე, ჩვენ წლითიწლით მრეწველობის საერთო პროდუქციის უზარმაზარი მატება გვაქვს.

ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენი ტრანსპორტის მუშაობაც გაუმჯობესდა. 1938 წელთან შედარებით 1940 წელს ტვირთბრუნვა გადიდდა: რკინიგზის ტრანსპორტზე 10,3 პროცენტით, სამდინარო ტრანსპორტზე—12,8 პროცენტით და მცირე კაბოტაჟის საზღვაო ტრანსპორტზე—15,1 პროცენტით.

გასულ წელს საბჭოთა კავშირის მრეწველობამ და ტრანსპორტმა მნიშვნელოვნად წაიწია წინ მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში, მათ გაადიდეს წარმოებისა და ტვირთბრუნვის მოცულობა, უზრუნველყვეს სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდა და სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება. ახალი ტექნიკის თვისების წარმატებებმა და თავდაცვითი მრეწველობის ზრდამ საშიალება მოგვცა მნიშვნელოვნად აგვემაღლებინა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტექნიკური შეჭურვილობა უახლესი სახის და ტიპის თანამედროვე იარაღით.

პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა: მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს რომ ეკონომიურად გავუსწროთ, ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სერიოზული და დაუღალავი სურვილი ნაწილისა და მზადყოფნა მუხვარაღის გაღებისა, სერიოზული კაპიტალური დაბანდებებისათვის, რათა ყოველნაირად გავდგართოთ ჩვენი სოციალისტური მრეწველობა.

განვლილი ორი წლის მანძილზე ჩვენ უზარმაზარი თანხები დავაბანდეთ მრეწველობისა და ტრანსპორტში და მოვაღინა ახალი საწარმო ავამუშავეთ.

კაპიტალდაბანდება მრეწველობისა და ტრანსპორტის 1938 წელს შეადგენდა 22.341 მილიონ მანეთს, 1939 წელს—25.037 მილიონ მანეთს, 1940 წელს—27.728 მილიონ მანეთს.

ჩვენი პარტია განუხრელად ანტორიელებს ამხანაგ სტალინის მოძღვრებას სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შესახებ. სსრ კავშირის ინდუსტრიალიზაცია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განვითარების კანონი გახდა.

ყველაფერი ხელთ უნდა გვქონდეს, რათა კაპიტალისტური მეურნეობის დანაშატი არ გაეხდეთ — გვასწავლის ამხანაგი სტალინი. ხელმძღვანელობდა რა ამ მითითებით, ჩვენმა პარტიამ უზრუნველყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დამოუკიდებლობა.

უნდა განვავითაროთ მრეწველობა, განვავითაროთ მიწურნეობა (სოციალიზმის გამარჯვებისთვის), სოციალიზმის მნენებლობის ინტერესებისთვის—გვასწავლის ამხანაგი სტალინი. ხელმძღვანელობდა რა ამ მითითებით, ჩვენმა პარტიამ იმას მიაღწია, რომ ჩვენს ქვეყანაში დაიშენა ძლიერი კაპიტალიზმის წარმოშობის ყველა საფეხელი.

სსრ კავშირი ახლა უკვე მძლავრი ინდუსტრიული სოციალისტური სახელმწიფოა.

მაგრამ, ამხანაგებო, ამ წარმატებებთან ერთად, მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობაში დიდი ნაკლოვანებანი მოიპოვება.

თუმცა ჩვენმა მრეწველობამ მთლიანად პროდუქციის გამოშვება 1940 წელს, 1939 წელთან შედარებით, 11 პროცენტით გაადიდა, მაგრამ მრეწველობის ზოგიერთ დარგი, განსაკუთრებით ორთკლმავალ და გაგონმშენებლობა, ეელექტრომრეწველობა, სატყეო, ქაღალდის, თევზის და სამშენებლო მასალათა მრეწველობა, ჩამორჩებიან და საწარმოო გეგმებს ვერ ასრულებენ.

ზოგიერთმა სახალხო კომისარიატმა მთლიანად საერთო პროდუქციის გეგმა შეასრულა, მაგრამ ამავე დროს არ შეესრულებია გეგმა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სახის პროდუქციის დარგში. ასე მოიქცნენ საფეიერო მრეწველობის სახალხო კომისარიატი, ქიმიის მრეწველობის სახალხო კომისარიატი, სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატი, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს სახალხო კომისარიატები სხვა სახალხო კომისარიატებზე ცუდად მუშაობდნენ.

მრეწველობის ზოგიერთი დარგის მუშაობის სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს ახალ საწარმოო სიმძლავრეთა არაფროული ამოქმედება.

მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ნედლეულის, მასალის სათბობის, ელექტროენერგიის გადაზარჯვისა და წუნითა და სხვა უყაირათო ხარჯვითი გამოშვეული დიდი დანაკარგების გამო შესრულებული არ არის სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა. განსაკუთრებით კუდად ცუდ საქმეა, სატყეო, ქაღალდის მრეწველობისა და სამშენებლო მასალათა მრეწველობაში თვითღირებულების შემცირების გეგმის შესრულება საქმე.

ელექტროსადგურებმა, რომელთა რიცხვი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, 1940 წელს თვითანთი მუშაობის გაუმჯობესებას მიაღწეს, მაგრამ ელექტროსადგურებში და განსაკუთრებით ელექტროგენერატორებში ჯერ კიდევ დიდი ადგილია ხლება ტექნიკური პერსონალის უნაკლოობისა და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების დაუცველობის გამო. ნელა და არასაკმაო მასშტაბით ინერგება ელექტრომეფარეობაში ახალი ტექნიკა: ორთქლის მაღალ წნევასა და მაღალ ტემპერატურაზე გადასვლა, აგრეგატების ძართვის ავტომატიზაცია, თანამედროვეს, სწრაფობმქმედი ელექტროდაცვის გამოყენება.

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის დიდი ნაკლია ის, რომ მთელ რიგ რკინიგზებს არ შეუსრულებიათ უფნაშვნელოვანესი ტვირთების გადმოზიდვის გეგმა, სატვირთო სარკის ეიკონების ბრუნვის გეგმა და საშუალო-საოდნოლმისო დატვირთვის გეგმა. რკინიგზებზე დიდძალი სატვირთო მატარებლები არაგანრიგისამებრ დადგიოდნენ, ჯერეოვნად არ არის ორგანიზებული სამგზავრო მატარებლთა მიმოსვლა და აღმოფხვრილი არ არის მატარებლების დაგვიანება.

საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტზე ტვირთბრიგადის გეგმები არ სრულდება, მეტადრე ისეთი დიდმნიშვნელოვანი სახის პროდუქციის მიზეგდვით, ეკონომიკა ანის მადანი, ნავთი, პორი, მარილი, ხეტყე, ფეკნახშირი, ცემენტი. ტანაჯისა და ძოძრავი შემადგენლობის დიდი მოცდენა, გადასატვირთავ პუნქტებში ტვირთების გაჩერება ითის გამო ხდება, რომ რკინიგზის სადგურების, ნავსადგურებისა და ნავმისადგომების მუშაობა ჯერ კიდევ არ არის ერთმანეთთან სათანადოდ შეთანხმებული.

ასეთია მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის წარმატებანი და ნაკლოვანებანი.

II

მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში სახალხო კომისარიატების და პარტორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა მიზეზები

მაშ, რა მიზეზია, ამხანაგებო, რომ მრეწველობისა და ტრანსპორტის ზოგიერთი დარგი არადა-მაკმაყოფილებელად მუშაობს?.

ჩვენ ვალდებულნი ვართ მთელი ბოლშევიკური პირდაპირობით გამოვაშკარაოთ ეს მიზეზები. რაც უფრო პატიოსნად გამოვაშკარავებთ ჩვენს ნაკლოვანებებს, მით უფრო მალე დავაღწევთ მათ თავს. ამას ყოველდღიურად გვასწავლის ამხანაგი სტალინი. ადამიანები, რომელნიც ნაკლოვანებებს ჩქმალავენ, ცუდ სამსახურს უწევენ პარტიას.

მრეწველობისა და ტრანსპორტის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მიზეზები მდგომარეობს სახალხო კომისარიატების მხრივ ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებში და იმაში, რომ პარტიის სიფლეო და საქალაქო კომიტეტებმა შეასუსტეს თავიანთი მუშაობა მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში.

სახალხო კომისარიატების შესახებ, უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ისინი ბევრ რამეში ბიუროკრატიულად მუშაობენ, ჯერ კიდევ ვერ სწავლობენან ყოველ ცალკეულ საწარმოს, „ხელმძღვანელობენ“ თავიანთ საწარმოებებით ბრძანდ ბრძანებებით, ანუ ბიუროკრატიულ ფორმალურად. ქაღალდის მფერეი მოწერის გზით.

სახალხო კომისარიატები ცუდად იცნობენ საწარმოთა ხელმძღვანელ კადრებს, დაცნობილი არ არიან, თუ რა მდგომარეობა სარწარმოებში, და არ იღებენ ოპერატიულ ზომებს საწარმოების მუშაობის ნაკლოვანებათა გამოსწორებლად. სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელი მუშაკები ძვიანად თუ შეიხედავენ ქარხნებში, პირადად არ ეზმარებიან ქარხნების მოაგვარონ საქმე, როგორც ეტყობა, ამჯობინებენ კაბინეტურად, მხლოდ ქაღალდის საშუალებით უხელმძღვანენ.

სახალხო კომისარიატების მუშაობის უდიდესი ნაკლია ის, რომ ისინი არ ამოწმებენ თავიანთ გადაწყვეტილებათა შესრულებას საწარმოთა დირექტორების მიერ. ამრიგად, სახალხო კომისარიატები თავიანთი ხელმძღვანელი მუშაობის ფარგლის კოლეგიების სხდომებითა და გადაწყვეტილებათა მიღებით ზოგადად, მათ არ ეკმიან, რომ გადაწყვეტილების გატარება მხოლოდ დასაწყისია საქმისა და რომ გადაწყვეტილებანი მიიღება არა თვითგადაწყვეტილებათათვის, არამედ შესასრულებლად, არ ეკმიან, რომ ხელმძღვანელი უნდა შეადგენდეს არა სახლდმონ მუშაობა და არა გადაწყვეტილებათა მიღება, არამედ ამ გადაწყვეტილებათა შესრულების ყოველდღიური შემოწმება.

ბევრი დირექტორი შეესრულებელი რჩება მხლოდ იმიტომ, რომ დირექტორების შესრულების სისტემატურად შემოწმების ნაცვლად, სახალხო კომისარიატები საწარმოებში არსებულ მდგომარეობას ფეხადგმენ ჩვეულებრივად ფაბრიკა-ქარხნების დირექტორთა და რკინიგზების უფროსთა რეფლადების მიხედვით. ხოლო საწარმოს დირექტორი, გზის უფროსი ვიწრო-უწყებრივი მოსაზრებებით ზშირად ჩქმალავს ნაკლოვანებებს და შეალამაზებს ხოლმე საწარმოებში არსებულ ნამდვილ მდგომარეობას.

სახალხო კომისარიატში ჩვეულებრივ არავინ არ ავებს პასუხს კონკრეტულ გადაწყვეტილებათა მესრულებლობისთვის.

ეი რამდენიმე ფაქტი, რომელიც ახასიათებს სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატულ მეთოდებს.

ავიღოთ საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატი. ეკონომიური საბჭოს 1940 წ. 7 მარტის დადგენილებით ამბ. დუკელსკი ვალდებული იყო ერთი თვის ვადაში წარედგინა ეკონომიურ საბჭოსა ყასპის ფლოტის მოეულელობის ლიკვიდაციის გეგმა. ეს დადგენილება ვადაზე არ შესრულებულა. სახალხო კომისარიატმა შეამდგენლობა აღძრა ვადის გადაღების შესახებ. ეკონომიურმა საბჭომ გეგმის წარმოდგენის ვადა გადასდო 1940 წლის 1 მაისამდე. ამბ. დუკელსკის გეგმა მაინც არ წარმოუდგენია. 1940 წლის 11 ოქტომბერს სახალხო კომისარ ამბ. დუკელსკის ეკონომიური საბჭოდან მიუვიდა წინადადება დაიჩქარებინა კასპის ფლოტის მოეულელობის ლიკვიდაციის გეგმის წარდგენა. ეკონომიური საბჭოდან მიღებულ წერილს ამბ. დუკელსკი მოკლე რეზოლუცია დაადო:

„ამბ. ლესოვიკოვს (სახალხო კომისრის მოადგილეა) და ვოროშილოვს (საგეგმო განყოფილების უფროსია) — სად არის გეგმის პროექტი?“ სახალხო კომისარის ამ კითხვას ორ თვეზე მეტ ხანს არ აღირსებ პასუხი. მხოლოდ 31 დეკემბერს ჩაბარია საგეგმო განყოფილების მოშაკმა ამბ. გინზბურგმა გეგმის პროექტი ამბ. ლესოვიკოვს. ამბ. ლესოვიკოვმა უკვე 1941 წლის 2 იანვარს გადასცა ეს მასალა ტექნიკური ეფსპლოატაციის განყოფილების უფროსს ამბ. ჩეხოვსკის, რომელმაც ეს პროექტი 1941 წლის 16 იანვარშდე გაიჭირა, შემდეგ კი კვლავ გადასცა იმავე ამბ. გინზბურგს. 1941 წლის 25 იანვარს, ე. ი. ეკონომიური საბჭოს გადაწყვეტილებიდან 10½ თვის შემდეგ, ამბ. დუკელსკის, როგორც იქნა, წარუდგინა ეკონომიურ საბჭოს კასპის ფლოტის მოეულელობის ლიკვიდაციის გეგმა.

ნება გვაქვს ვკითხოთ ამბ. დუკელსკის, როგორ ფიქრობს საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატი, რაშიგენ-და დრო უნდა მოახმაროს თვით კასპის ფლოტის მოეულელობის ლიკვიდაციას, თუ ამ მოეულელობის ლიკვიდაციის გეგმას 10 1/2 თვის განმავლობაში ადგენენენ? თანაც კიდევ გამოიტანეველია, რა გეგმა ესა

ეი კიდევ ფაქტი ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის საქმიანობიდან. 1940 წ. 29 ოქტომბერს ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატმა მიიღო მითითება, რომ გეგმთშენებლობის მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის ხარკოვის ელექტრომექანიკური ქარხნიდან მიეწოდებინა მოწყობილობა 1940 წლის 10 ნოემბრისათვის, სახალხო კომისარმა ამბ. ბოგატირიოვმა მასთან შემოსულ დოკუმენტს შემდეგი რეზოლუცია წაუწერა: „სამხედრო განყოფილების უფროსს ამბ. კრავცოვს — 30 ოქტომბრისათვის საწარაფოდ დაამზადეთ განკარგულება ამ გადაწყვეტილების შესახებ“. განკარგულება 5 დღეს მზადდებოდა და მხლოდ 6 ნოემბერს მიაღწია ამავე სახალხო კომისარიატის ელექტრომანქანათა მრეწველობის, მთავარ სამმართველომდე. ამ მთავარ სამმართველოს მთავარი ინენერი ამბ. რუბინ ამ სასწრაფო განკარგულებას მხლოდ 10 ნოემბერს უგზავნის თავისი მთავარი სამმართველოს საწარმოო განყოფილების უფროსს ამბ. არტემოვს. ამბ. არტემოვი, თავის მხრივ, მთავარი სამმართველოს დისპეტჩერს ამბ. კრავჩუკს სწერს: „განკარგულებისათვის“, ამბ. კრავჩუკმა კი იმავე დღეს, 10 ნოემბერს, ე. ი. როცა მოწყობილობა უკვე უნდა მიეღოთ ქარხნებს, რომლებიც მას ელოდნენ, დაადო რეზოლუცია: „საქმეში“, ე. ი. არქივში. ასე ჩაშალეს მნიშვნელოვანი დავალების შესრულება.

განა ყოველივე ეს — „დაამზადეთ განკარგულება“, „გეეცით განკარგულება“, „განკარგულებისათვის“ და, დასასრულ, „საქმეში“ — არ მოწმობს ტოტალი საქმისადმი ჩინოვნიკურ, ბიუროკრატულ დამოკიდებულებას ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაკთა მხრივ. განა შესაძლებელი იქნებოდა ამგვარი

(ბაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

მოვაბრუნოთ პარტიული ორგანიზაციები მრეწველობისა და ტრანსპორტისაკენ

ჩვენი ქვეყნის მაღალი პოლიტიკური და საწარმოო ცხოველობის პირობებში დაიწყო მუშაობა ბოლშევიკური პარტიის XVIII სრულიად - საკავშირო კონფერენციამ. გაზეთების გუშინდელ ნომრებში გამოქვეყნებულია ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენება „პარტიული ორგანიზაციათა ამოცანები მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში“. ღღეს კონფერენცია იწყებს ამ მოხსენების განხილვას, რომელიც სახავს ჩვენი დიდი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცების ძირითად მიმართულებას.

სოციალისტური მრეწველობისა და ტრანსპორტის წარმატებანი საყოველთაოდ ცნობილია. წლითიწლით უდიდესად იზრდება სამრეწველო პროდუქციის მატება და ტვირთბრუნვა. ლენინ - სტალინის პარტიამ უზრუნველჰყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დამოუკიდებლობა და მძლავრ ინდუსტრიულ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაქცია ჩვენი სამშობლო. ჩვენს ქვეყანაში დახშულია კაპიტალიზმის აღდგენის ყველა სარკეველი. სოციალიზმის ამ გამარჯვებებს ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

მრეწველობისა და ტრანსპორტის წარმატებანი იბარებენ ჩვენს პარტიას და მთელ საბჭოთა ხალხს, მაგრამ ისინი ბოლშევიკებს ვერ უჩრდილავენ დიდ, ჯერ კიდევ აღმოუფხვრელ ნაკლოვანებებსაც. ჩვენ არ შეგვიძლია მიღწეულით დავკმაყოფილდეთ. „რაც უფრო პატიოსნად გამოვაშკარავებთ ჩვენს ნაკლოვანებებს,—ამბობს ამხ. მალენკოვი, — მით უფრო მალე დავაღწევთ მათ თავს. ამას ყოველდღიურად გვასწავლის ამხანაგი სტალინი“.

მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის უმნიშვნელოვანეს ნაკლოვანებებს წარმოადგენს მთელი რიგი დარგების მიერ საწარმოო გეგმების შეუსრულებლობა, ჩამორჩენილი საწარმოებისა და ზეგბის არსებობა, ახალ სიმძლავრეთა არათავისებრზზე ამოქმედება, თვითღირებულების შემცირების დაკავებათა შეუსრულებლობა. ამის მიზეზებია სახალხო კომისარიატებისა და პარტიული ორგანიზაციების მხრივ ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებში. სახალხო კომისარიატები ვერ სწვდებიან თვითეულ ფაბრიკა-ქარხანას, მას ზზარად ბიეროკრატიულად, კანცელარიულად ხელმძღვანელებენ, თავიანთ გადაწყვეტილებებს არ ამოწმებენ. ხოლო ადგილმპრივი პარტიული ორგანიზაციები არ ეზმარებიან სახალხო კომისარიატებს, კონტროლს არ უწევენ საწარმოთა მუშაობას და ზშირად განზე უდგანან მრეწველობასა და ტრანსპორტს. პარტიის ბევრი საოლქო კომიტეტი, მუშაობდა რა უმნიშვნელოვანეს სსკოფლო - სამეურნეო საქმეებზე, ივიწყებდა თავის პასუხისმგებლობას მრეწველობისა და ტრანსპორტის მდგომარეობისათვის.

მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ პარტიული ორგანიზაციები გადაჭრით **მოვაბრუნონ** მრეწველობისა და ტრანსპორტისაკენ. ამხ. მალენკოვის მოხსენებაში ნათქვამია:

„პარტიული ორგანიზაციები ღღემდე მთავარ ყურადღებას აქცევდნენ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობას. და ეს სწორი იყო, სანამ მარცვლეულის პრობლემა ჯერ კიდევ არ იყო გადაჭრილი. მაგრამ ახლა, როცა მარცვლეულის პრობლემა და ყოველწლიური 7-8 მილიარდი ფუთი მარცვლის მოსავლის მიღების ამოცანა ძირითადად უკვე გადაჭრილია, — **აუცილებელია მოვაბრუნოთ პარტიული ორგანიზაციები მრეწველობისა და ტრანსპორტისაკენ.** ეს ისაა ამ ნიშნავს, რომ უნდა შევასუსტოთ ყურადღება სოფლის მეურნეობისადმი. მაგრამ ეს ამას ნიშნავს, რომ პარტიული ორგანიზაციები იმდენად უნდა გაიზარდნენ, რომ მათ შეუძლიათ **თანაბრად** მოჰკიდონ ხელი მრეწველობასაც და სოფლის მეურნეობასაც“.

ასე მაქსიმალური გარკვეულობითა და სიცხადით არის ფორმულირებული პარტიის გვზი მრეწველობისა და ტრანსპორტისაკენ პარტიული ორგანიზაციების **მობრუნების** შესახებ. **თანაბრად** ვიმეორთ მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც — სწორედ ამაში მდგომარეობს ახლა მეურნეობის **ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ოსტატობა.**

ამხ. მალენკოვის მიერ პარტიულ კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებაში არა მარტო გამოშკარავებულია მრეწველობისა და ტრანსპორტის ნაკლოვანებათა ძირითადი მიზეზები და ჩამოყალიბებულია სამეურნეო - პოლიტიკური ამოცანები, არამედ ნაჩვენებია **რა** ზორკიელით უნდა განვაზორკიელოთ ეს ამოცანები.

გასულ წელს მრეწველობამ და ტრანსპორტმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, 1939 წელთან შედარებით, გადიდდა 11 პროცენტით — 13-ნახევარ მილიარდ მახეთისაზე მეტად. და ამავე დროს რა დიდია გამოუყენებელი შესაძლებლობანი! 1940 წლის 1 ნოემბრისათვის მარტო 8 სამრეწველო სახალხო კომისარიატის ხაზით გამოუყენებელი არ იყო 33 ათასი ლითონმჭრელი ჩარხი. 7.629 საწარმოში მოიპოვებოდა 170 ათასი დაუდგმელი ელექტრომოტორი. ცემენტის მრეწველობაში საწარმოო სიმძლავრე გასულ წელს მხოლოდ 64 პროცენტით იყო გამოყენებული.

ადვილი წარმოსადგენია, თუ ჩვენი ქვეყანა რა დიდძალ დამატებითს პროდუქციას მიიღებდა, ჩვენი მოწყობილობა, ჩვენი საწარმოო სიმძლავრენი, ჩვენი ახალი ტექნიკა რომ ჯეროვნად ყოფილიყო გამოყენებული ძნელია იმის გამონაგარიშება, თუ რამდენს ჰკარგავს მრეწველობა უყაირათობით, ნედლეულის, მასალების, ინსტრუმენტის არამომჭირნეულ ხარჯვით, პროდუქციის არათანაზომიერი გამოშვებითა და იერიშობანით, წუნით.

როგორ გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანებანი?

ამაზე პასუხს იძლევა ამხ. მალენკოვის მოხსენება:

„უწინარეს ყოვლისა — იცოდე ფული, მოწყობილობის, ქონების ანგარიში, ვინაიდან არ შეიძლება საწარმოს უხელმძღვანელო მოწყობილობის, ყოველგვარი ქონებისა და მასალების აღურიცხავად. მაგრამ აღრიცხვა აღრიცხვისათვის კი არ არის საჭირო — სწორად უნდა გამოიყენო არსებული მოწყობილობანი, ყაირათიანად უნდა ხარჯო ინსტრუმენტი, ნედლეული, მასალები, სათბობი, ელექტროენერგია, მოვლილ და კარგ მდგომარეობაში უნდა იქონიო მატერიალური ფასეულობანი, არ უნდა დაუშვა მათი განიავება.

საწარმოებში და რკინიგზებზე მოწყობილობის სწორად გამოყენებისა და წესრიგის დამყარების ელემენტარული პირობისა სისუფთავე და წესრიგი.

სადაც ბუჟყია, იქ წუნიცაა. სადაც სისუფთავე და წესრიგი არ არის, იქ ავარიებია. „საბჭოთა ქარხანა სისუფთავისა და წესრიგის ქარა უნდა იყოს“. (მალენკოვი).

წარმოების ორგანიზაციის ამაოება ნიშნავს პროდუქციის გამოშვებაში რიტმულობის პიღწევას, გრაფიკის მიხედვით მუშაობას, ეიერიშობანის აღმოფხვრას, ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვას, ახალი ტექნიკის დანერგვას, ახალი მანქანების, მასალებისა და ნაკეთობის წარმოების ათვისებას. არ შეიძლება ისეთი მდგომარეობის ფრთეზეა, როცა უძვირფასესი გამოგორებანი და გაუფუჯობესებანი წლითიწლ არ ინერგებიან წარმოებაში, როცა ნოვატორთა მოწინავე მეთოდები უფულებელფოფილია. ფრთა შეიგანოთ, რომ რუტინა და კონსერვატიზმი ტექნიკის საკითხებში იწვევენ საწარმოთა ერთ წერტილზე გაყინვასა და ჩამორჩენილობას, ძირს უთხრიან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ძლიერებას. პარტია მოითხოვს ბოლო მოეღოს საწარმოთა ხელმძღვანელების ნაწილის მხრივ მაჩაჩნალურ, სულერთიანად ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას ახალი ტექნიკისადმი.

ჩვენ იქითკენ უნდა მივისწრაფოდეთ, რომ ავამღლოთ მთელი საბჭოური მუშაობის ხარისხი. ძირითად მაჩვენებელს კი, რომელიც ახასიათებს საწარმოს მთელი მუშაობის ხარისხს, თვითღირებულება წარმოადგენს. თვითღირებულებაში საკენსავით ასახულია საწარმოო-ტექნიკური ხელმძღვანელობის მეთოდებიც, მოწყობილობის გამოყენების ხარისხიც და საწარმოო კულტურის დონეც. თვითღირებულების შემცირების წყაროებია მოხერხებული, ბოლშევიკური გაგებულობა, სამეურნეო ანგარიში, ეკონომის რეჟიმი, ზრუნის ნაყოფიერების გადიდება. ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ისეთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, როგორიცაა ხელფასი, რომლის ხელმძღვანელი პრინციპი სოციალიზმის დროს არის ანაზღაურება ზრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით და ამით ზრომის შედეგების თვითეული მუშაკ-მელის მატერიალური დაინტერესებლობის შექმნა.

მრეწველობისა და ტრანსპორტის მიერ უკანასკნელი ოვეების მანძილზე მიღწეულ წარმატებებში განსაკუთრებული როლი შეასრულა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებამ. ამ ბრძანებულების სრული განხორციელებისათვის ბრძოლა კვლავ რჩება პარტიული ორგანიზაციების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად. უნდა მივაღწიოთ გაცდენების სრულ აღკვეთილებას, ვინაიდან უნდა ვაღიაროთ, რომ ჩაენისებური დისციპლინა ზრომაში სოციალისტური მშენებლობის საფუძველთა საფუძველია. მტკიცე დისციპლინა, მტკიცე ერთმმართველობა, ბეჯერობისა ამაღლება — აი რა გვესაჭიროება ჩვენ ამისათვის, რომ მრეწველობა და ტრანსპორტი წაეწიოთ წინ.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მას შემდეგ, რაც მოეგებოდა სწორი პოლიტიკური ხაზი, საქმის წარმატება დამოკიდებულია ორგანიზაციულ მუშაობაზე, პარტიის ხაზის, მისი გადაწყვეტილებების ორგანიზაციებისათვის ბრძოლის ორგანიზაციაზე, ადამიანთა სწორ შერჩევაზე, შესრულების შემოწმებაზე. კადრები, რომ სწორად გაანაწილო, საჭიროა შეისწავლო ადამიანები და კარგად იცნობდე მათ, საჭიროა ეფარო გამგეობელად დაანწინაურო ნიჭიერი, ინიციატივის მქონე მუშაკები, არა მარტო პარტიული, არამედ არაპარტიული ბოლშევიკები. ამბ. მალენკოვმა მოგვიწოდა ბოლო მოეღოთ მუშაკების ქაღალდის საშუალებით, კინეტალური გზით შესწავლის, კადრების შერჩევის დროს ბოლო მოვეღოთ ბიოლოგიურ მიდგომას. ადამიანს აშენენებს არა საგვარტომო ნესტი, არამედ მისი ბოლშევიკური საქმიანობა, ნიჭი, ტალანტი. მუშაკის პიროვნული პოლიტიკური და საქმიანი თვისებანი—აი კრიტერიუმი მისი დანაშენისას და დაწინაურებისას. ნიჭიერ ადამიანთა დაწინაურებისას, ეროიანად უნდა შეიცვალოთ ფეხრეული, სოსტი, ენენბოფოფ მუშაკები. ამბ. მალენკოვმა სასტიკად დასცინა ბოლაბეებს, რომლებსაც უნარი არ შესწევთ აკეთონ ცოცხალი საქმე. და თავის მომეფდე უვიცებს, რომელნიც „მაგრად სხედან თავიანი უვიცობის საფუძველზე“, რომლებსაც არავითარი ცოდნა არა აქვთ, სამაგიეროდ მეგიდურობა იმდენი აქვთ, რამდენიც ენებავთ. „ამხანაგებო, ასეთი უვიცები უნდა გაშოვაშალიაოთ და კინოსკვერით ბაიბაიოთ ხელმძღვანელობდან“,—ამბობს ამხ. მალენკოვი.

კონფერენციის განსახილველად გამოტანილია ორგანიზაციული ხასიათის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი. დასმულია საკითხი იმის შესახებ, რომ სახალხო კომისარიატებისათვის და მრეწველობისა და ტრანსპორტის სახალხო კომისარიატებისათვის დახშარების გაძლიერების მიზნით, განვითარებულ მრეწველობის მქონე ქალაქებში, ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში გვყავდეს პარტიის საქალაქო კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების, არა ერთი, არამედ რამდენიმე მდივანი მრეწველობის დარგში, ხოლო იქ, სადაც ეს საჭიროა, გვყავდეს მდივანი რკინიგზის ტრანსპორტის დარგში და მდივანი წყალთა ტრანსპორტის დარგში. დასმულია საკითხი იმის შესახებ, რომ ტრანსპორტის პოლიტიკანყოფილებნი პარტიის საოლქო კომიტეტებისა და საქალაქო კომიტეტების წინაშე ანგარიშვალდებულნი გავხდილნი ბოლო მოვეღოთ ტერიტორიული პარტიულ ორგანიზაციებისაგან პოლიტგანყოფილებათა მოწყვეტას.

მრეწველობისა და ტრანსპორტის პარტიული ორგანიზაციების მობრძოლებამ უკვე წელს უნდა უზრუნველჰყოს გეგმების წარმატებით შესრულება არა პარტია საშეალოდ, არამედ ცალკე თვითეული საწარმოს და თვითეული ზზის მიხედვითაც, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში არ უნდა იყვნენ ჩამორჩენილი ქარხნები, ფაბრიკები, მახტები, რკინიგზები. ეს კი შეუძლებელია ისე, თუ არ ავამღლეთ ბრძოლა ზეადრეულ, ბოლშევიკური ფეხადგმით, ეკონომიის, ზრომის კულტურა, შეუძლებელია ისე, თუ არ გავაჩაღეთ ბრძოლა ზეადრეულ, მედიდურობის გაანყოფილებასთან, თუ არ გავაჩაღეთ ბრძოლა ნაკლოვანებებისადმი მომთმენლობასთან.

ამხანაგი მალენკოვი ამბობდა:

„ბოლშევიკი უნდა განირჩეოდეს იმით, რომ შეიერგებელი იყოს ნაკლოვანებებისადმი, მოთმოვნილებას ფეეინდოს თავის თავს, მეოლ თავის მუშაობას. ამას გვასწავლის ამხანაგი სტალინი.

ბოლშევიკისათვის ყველაფრზე უფრო მაღლა უნდა იდგეს სახელმწიფოს ინტერესები, თავდაცვა სამშობლოს ინტერესები. ბოლშევიკი დისციპლინანაა უნდა იყოს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. კანონი ყველასათვის კანონია. ჩვენ ყველანი სახელმწიფოს მსახურნი ვართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენცია

პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში

ამხანაგ **გ. მ. მალენკოვის** მოხსენება

(მაგრძელება)

ფაქტები, სახალხო კომისარიატში რომ შესრულების ელემენტარული შემოწმება ხდებოდეს?

ან ეს სამინისტრო ფლოტის სახალხო კომისარიატის შესახებ. ამ სახალხო კომისარიატის კოლეგიას 1940 წელს 62-ჯერ ჰქონდა სხდომა, მოსმენილი იყო 102 საკითხი, ხოლო თვით კოლეგიის სხდომებზე გადაწყვეტილებები მიღებული იყო მხოლოდ 7 საკითხზე. დანარჩენ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მომზადებას კომისიებს აკისრებდნენ. საკითხთა უმრავლესობას კომისიები რეფერატის უკეთებენ რამდენიმე თვის მანძილზე, რადგან სახალხო კომისარიატში არავინ არ ამოწმებს დაკისრებულ დავალებებს. ხოლო, მაგალითად, გადაწყვეტილებას „ზრდასა და ფინანსების დარგში მაჩვენებელთა შესრულების შედეგების“ საკითხზე კომისია, სახალხო კომისრის ამხ. შაშკოვის თავმჯდომარეობით, რეფერატის უკეთებს მთელი ნახევარი წლის განმავლობაში 20 აგვისტოდან დღემდე.

მუშობამ ასეთი წესებიან დროს შეიძლება ყოველი ცოცხალი საქმე ჩაიხრჩო. ამიტომ გასაკვირველი არ არის ტეროროზდეს დარგში სამეფანო ფლოტის სახალხო კომისარიატის მუშაობის ცუდი შედეგები.

ორორიე სიტყვა ნაომარ მასალათა სახალხო კომისარიატის შესახებ. ამ სახალხო კომისარიატში, მაგალითად, ასეთი ფაქტები იყო. სახალხო კომისარმა ამხ. სერგეევმა თავის № 203 ბრძანებით წინადადება მისცა № 176 ქარხნის დირექტორს — „იგეიტელ ილნას № 4 საამქროს ფოსფატირების განყოფილება, დამორტყტებულ იქნას ბაზზანები და გადაიკეს სიეპპლოტტაციოდ. შესრულებას ვადაა 1940 წლის 8 ივნისს“. ბრძანებას ხელი მოაწერეს 5 ივნისს, გასაგზავნად გადასცეს 7 ივნისს, ხოლო ბრძანებაში ზღაბშნელი სამუშაოს შესრულების, ვადად, როგორც ხედავთ, დაწესებული იყო 8 ივნისი. ეს კიდევ მეორე ბრძანება № 189. ეს ბრძანება ავალებდა № 144 ქარხანას „არა უგვიანეს 1940 წლის 1 ივნისისა შეიმუშაოს საამქროთა მუშაობის გრაფიკი ივნისისთვის ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ეპარილისაში მოუთავებელი სამუშაოთა დამთავრება“. ეს ბრძანება ხელმოწერილი იყო 31 მაისს და, ცხადია, ქარხანას უკვე იმ ვადის გასვლის შემდეგ მიუვიდა, რომელიც დაწესებულია იყო დავალების შესასრულებლად. აი მესამე ფაქტი. № 151 ბრძანება აღნიშნავს, რომ ქარხნებში ცუდი მდგომარეობაა უშუშობების ტექნიკის მხრივ. ბრძანების მერვე პუნქტი შემსრულებლებს ავალებს 29 აპრილს წარუდგინონ ამხ. სერგეევს დასამტკიცებლად მუშაობის გეგმა, თვით ბრძანება კი ხელმოწერილია 4 მაისს.

განა ეს საკმისადმი სერიოზული დამოკიდებულებაა? ხომ უნდა ჩაკუფიქროთ ეს დავალებებს, რომლებსაც ხელქვეითებს ვაძლევთ. ზემოთთქმულებილ ბრძანებებს კი მხოლოდ დისციპლინის შერყევა შეეძლოთ.

ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ბიუროკრატიზმისა, საქმის კანცელარიული გაქაღაზრებისა და ინერციისა. ეს ამბავი, რომ შესრულებას არ ამოწმებენ; საამქროთა, ასეთი მაგალითები თვითეული სახალხო კომისარიატში მოიპოვება, საწარმოთა მუშაობისადმი თუნდაც რამდენადმე სერიოზული ყოველდღიური კონტროლი კი არ არის. ამავე დროს კი ქარხნების მუშაობის ყოველდღიური სერიოზული კონტროლი სახალხო კომისარიატი თვითონ ეკისრებოდეს მოვალეობას წარმოადგენს.

სახალხო კომისარიატებმა ბოლო უნდა მოიღონ საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის კანცელარიულ - ბიუროკრატიული მეთოდებს და მთელი ამ კანცელარიულობის ნაცვლად სერიოზულად მოჰკიდონ ხელი გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საქმეს, თავიანთ საწარმოთა მუშაობის კონტროლის საქმეს.

ასეთი სახალხო კომისარიატთა ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი.

გადავიდეთ ახლა იმ ნაკლოვანებებზე, რაც ახასიათებს პარტიულ ორგანიზაციების მუშაობას მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში.

აქ მთავარი ის არის, რომ პარტიულ ორგანიზაციები არ ეხმიბიან სახალხო კომისარიატებს, თავიანთი ოლქის, ქალაქისა და რაიონის საწარმოებს.

პარტიულ ორგანიზაციებმა თავიანი მუშაობა შეიასუტეს როგორც მრეწველობაში, ისე ტრანსპორტზე, ისინი უმთავრესად ფიქრობენ, რომ მათ არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობისთვის.

ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, ისევე, როგორც სამეურნეო ორგანიზაციებსაც, არ ესმით შესრულების შემოწმების აზრი და მნიშვნელობა და ამის გამო არ ეხმარებიან სახალხო კომისარიატებსა და მთავარ სამმართველოებს იმ მხრივ, რომ მოაგვარონ ამის ყოველდღიური შეამოწმება, თუ როგორ ასრულებენ დაკვეთებულ საწარმოთა დირექტორები სახალხო კომისარიატების გადაწყვეტილებებს.

პარტიის ბევრმა სოლო კომეტამ, მუშაობს რა სოფლის მეურნეობის საკითხებზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საქმეებზე, თავი მიანება მრეწველობაში ფაბრიკა-ქარხნების, შახტების, მაღაროების, რკინიგზების მუშაობისათვის, ხოლო პარტიის საქალაქო კომიტეტები, რომლებიც მოვალენი არიან მთელი ყურადღება მიაქციონ მრეწველობასა და ტრანსპორტს, ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმეს და არ იღებენ ზომებს ჩამორჩენილი საწარმოებისა და რკინიგზების მუშაობის გასაუმჯობესებლად. პარტიის საქალაქო კომიტეტის და სოლო კომეტტეტი ამის ნაცვლად, რომ ჩასწვდნენ ფაბრიკა-ქარხნებისა და რკინიგზების საქმეებს, ზრდად გახზე უდგებიან მრეწველობასა და ტრანსპორტს, კონტროლს არ უწევენ საწარმოების მუშაობას, არ ამოწმებენ იმას, თუ როგორ მუშაობენ ხელმძღვანელი ადამიანები ფაბრიკებში, ქარხნებში და რკინიგზებზე, არ ამეცავნენ მათი მუშაობის ნაკლოვანებებს და ასეთი დაუდგენობით ხელს უწყობენ ამ ნაკლოვანებებს.

პარტიის საქალაქო და სოოლქო კომიტეტები მიეჩვევნენ იმ მდგომარეობას, რომ მათთან მთელ რიგ საწარმოებს ხანგრძლივი დროის მანძილზე დიდი ვალდებულებანი აქვთ, და არ იღებენ ქმედ ზომებს იმისათვის, რომ ბოლო მოეღოთ ამ სამარცხვინო მოვლენას.

